

481

ՁՈՅՆԱՅԵՐԸ

ՅՈՒՐԱԿԱՆ

გიორგი ვვაჟაძე.



მეტაფიზიკური პრიმატა

ესკიზისა.

დ. ხელაძის გამოცემა

პ ა რ ი ზ ი

1935

მოქმედი პირნი :

- პრომეთე, ღმერთი, მფარველი კაცთა ტომისა.
კრატოს, ღმერთი ძალის და ძალადობისა.
ჰეფესტ, " ცეცხლისა და ლითონისა.
ჰერმეს, " შიკრიკი ღმერთებისა.
ოკეანე, " ზღვათა და ოკეანეთა.
გუნდი, მისი ქალიშვილების (ოკეანიდებისა).
იოს, ახალგაზრდა ქალი, ფურად გადაქცეული.
-

მოქმედება ჰწარმოებს ერთ მაღალ და მიუვალ მთის ქედზე.
კავკასიაში.

მოქმედება პირველი

სცენა I

კრატოს, ჰეფესტ, პრომეთე.

კრატოს

აჰა, მიწა გადავლახეთ, მივალწიეთ მის კიდურსა,
სკითიისა არე-მარეს, უგზო-უკვლოს, უდაბურსა.

ჰეფესტ! აბა დაფაცურდი! ბრძანებაა მამი-შენის.
უნდა სწრაფად მოიყვანო სისრულეში ეხლა შენ ი
შიაქედე ამ სალ კლდეზე, როგორც იყო დანაბარი,
კაცთა ტომის ეს ამაყი მოსარჩლე და მეგობარი.

მან ვაიტაცა საუნჯე, რომლის შენ იყავ მფლობელი,
ცეცხლი, ეს ალი ციური, ხელოვნებისა მშობელი,
და კაცთა გაუზიარა... ეს მას არ ეპატიება!
დასჯას ითხოვენ ღმერთები, ჰწყურიანთ შურისძიება.
დეე გაიგოს, თუ რაა ზევსის ძალა და დიდება,
თავგამოდებას კაცთათვის მაშინ ის მოერიდება.

ჰეფესტ

კრატოს, ძალავ უღმობელო! სულ არ არის შენთვის ძნელი
აასრულო ზევსის ნება, არც შედგება შენი ხელი,

მაგრამ ჩემთვის? სად ვიპოვო ის მხნეობა შემზარავი, რომ ამ კლდეზე მივაჭედო ღმერთი—ჩემი ნათესავი?! ბედის წერას ვერვინ შესცვლის, ტყუილია მაზე ზრახვა, საშიშია თანაც ზევსის ბრძანებისა გადალახვა.

ძეო თავგამოდებულს თემისის ბრძენთა-ბრძენისა, მიუხედავად შენი და ჩემი გულისა ტკენისა, უნდა მიგაკრა ამ ჯაჭვით, მტკიცით და გაუწყვეტელით. ამ კლდეზე, ცაში რომ აღის მისი ფრიალო კედელით. ვერ გაიგონებ იქ ხმასა, კაცსა ვერ ჰნახავ თვალითა, დაიწვი, ჩაითუთქები მზისა მხურვალე ალითა.

იქ სალამო ჰდგება გვიან, გვიან ჰდგება ნელი ღამე. სიამესა არ მოგიტანს ვარსკლავების სიკამკამე, მზეც ამოდის უფრო გვიან, არ შეგიშრობს დილის ნამებს, ტანჯვასა და ტკივილებსა არაფერი დაგიამებს. შენი მხსნელი?! ჯერ შორს არის დღეცა მისი დაბადების. ა! ნაყოფი კაცთათვისა შენი თავის გამოდების!

ღმერთი ღმერთებსა აღუდექ, საქმე ჰქენ გასაწყრომელი, კაცთა გადაეც საუნჯე, შენი არ იყო რომელი; აი საშინელ ტანჯვაცა შედეგად შენი ბრალისა: ფეხზე-დგომელა, უძილოდ, დაუხუჭავად თვალისა!

შენ იკივლებ, შენ იკვნესებ! შებრალებას ეგებ ელი? ტყუილია! ზევსის გული ყრუ არის და უღმობელი. როგორც ყოველ მტარვალისა.

კრატოს

რას უყურებ? დაფაცურდი!

მოექცი მტერსა მტრულად, შენს ხელშია ცეცხლის ქურდი. ნუთუ იგი გეცოდება, ვერ იმეტებ მისაჭედლად?

ჰეფესტ

სისხლია და სიყვარული ამართული შუა კედლად.



კრატოს

ჩესმის, მაგრამ ნუთუ შიში შენ არა გაქვს მამი-შენის?

ჰეფესტ

უწყალოსა თქვენისთანას რა სიმკაცრე არ შეჰშვენის.

კრატოს

ეხლა იმას ვერ უშველის შენი გრძნობის ნიაღვარი.

ჰეფესტ

ეხლა ჩემი ხელოვნება ჩემთვის არის საზიზღარი.

კრატოს

ხელოვნებას რაღას ერჩი? მიზეზია იგი განა?

ჰეფესტ

ნეტა ვისმე სხვას პრგებოდა დავალება ამისთანა.

კრატოს

შემძლეა და შემომქმედი ყველაფრისა ყველა ღმერთი,
მაგრამ თავისუფალია მხოლოდ ზევსი ერთად-ერთი.
სხვებს არა აქვთ ეს უფლება.

ჰეფესტ

მართალია! ვიცი მეც ეს.

კრატოს

მაშ მოჰკიდე საქმეს ხელი, მისი მეხი არ დაგეცეს.



ჰეფესტ

აი, მზად მაქვს მაჯის რგოლი.

კრატოს

გაუყარე, უბედურო!..
ეხლა კლდესა მიაჭედე!.. დაჰკა! დაჰკა მაგრად ურო!

ჰეფესტ

აი, ესეც ავასრულე! ჰხედავ, შენ გემორჩილები.

კრატოს

დაჰკა კიდევ!.. მოუჭირე! არ გაიხსნას ბორკილები!
ის ისეა გამოჭნილი, მოახერხებს გამოძრომას.

ჰეფესტ

რაც ამ მკლავსა შეეხება, სულ ტყუილად გასწევს შრომას.

კრატოს

მიაჭედე მეორეცა!.. გაიგოს, რომ ზევისის ძლევა
უზომოა, მის ძალასთან შედარებას არ იძლევა.

ჰეფესტ

მტკიცედ არის ყველაფერი.—ეხლა ჰეფესტს უბედურსა,
გარდა ერთი პრომეთესი, ვერვინ ეტყვის საყვედურსა.

კრატოს

ეხლა ჩაჰკა ეს ლურსმანი! ბეჭში უნდა გაუაროს.

ჭეფესტ

ოჰ, პრომეთე! ოჰ, პრომეთე! ჰხედავ ჩემსა ცრემლის წყაროს?

კრატოს

როგორ! ჰტირი? ზევსის მტერი შენთვის არის შესაბრალო?
ფრთხილად იყავ! მოკლე ხანში თვით არ გახდე სატირალ-

ჭეფესტ

არა ჰხედავ ამ სურათსა? საშინლება არის სრული.

კრატოს

კარგად ვხედავ: დასჯილია დამნაშავე თავგასული.
აბა, ჯაჰვი შემოარტყი ეხლა წელზე!

ჭეფესტ

ვიცი თვითონ!
სხვის ბრძანება არ მჭირია... რატომ უნდა მიმითითონ?

კრატოს

შენ ჩემი ხმა ბრძანებითი ბევრჯერ კიდევ დაგიკვივლებს.
წა! მუხლები შეუკარი! ზედ დააყრი ამ ბორკილებს!

ჭეფესტ

აჰა, ესეც! სულ მზად არი, არ დამჭირდა დიდი ხანი.

კრატოს

ეხლა მაგრა მიატედე ფეხები და მთელი ტანი!
შენს შრომასა გასინჯავენ, დაფასება მკაცრი გელის.

ჰეფესტ



დაფასება ალბად ღვთისა შენისთანა საძაგელის.

კრატოს

იყავ რბილი, გრძნობიერი, ლმობიერიც, თუ ეს გინდა;
ხვედრი ჩემთვის დადებული ძალადობა არის წმინდა.

ჰეფესტ

კმარა! დროა შინ დავბრუნდეთ, გავაკეთეთ ყველაფერი.

კრატოს (პრომეთეს)

წა! აგინე ეხლა ღმერთებს! ღმერთებისა იყავ მტერი!
შეეცილე, შეეჯახე, გამოსტაცე საუნჯე მათ,
დაუძახე კაცთა ტომსა ამ საუნჯის გასაცემათ.
ვინ მოვა და ვინ გიშველის, შე საწყალო, იმათგანი?
ახ, პრომეთე! სახელი გაქვს არა შენი დასამგვანი.
პრომეთე თვითონ გჭირია ასაცილებლად სიავის.

(კრატოს და ჰეფესტი გადიან).

სცენა II

პრომეთე

ჰოი შენ, საღმრთო ეთერო! ნელო მობერვავ ნიავის!
ღიმილო ზღვისა გაშლილის, ქველო რიცხვ-მუწდომელო!

მიწავ—დედაო ყოველთა! მზეო დიდებით მკრთომელო,
რომელიც დამზერ ბუნებას, ამათებ კიდი-კიდესა,—
ჰნახეთ, ღმერთებმა რა მიყვეს, რა ცეცხლი მომკიდესა!
ჰნახეთ, მზურობელსა ცათასა, რომ წანიდრიკოს ქედია,
რა სამარცხვინო რგოლები ჩემთვისა გაუჭედია!

ვაჰმე, ვაჰმე, ვიტანჯები!.. რას მიმზადებს მომავალი?
რა იქნება ჩემი ბოლო? ახ, რას ვამბობ? განა თვალი
გამკრიახი მე არა მაქვს მომავალის გასახედად?
განა რამე დამატყდება შემთხვევით და უცაბედად?
არ ვიცი, რომ უნდა მოხდეს, რაც რომ არის მოსახდენი?
მაშ მხნეობით ავიტანოთ შავი ბედის განაჩენი.

ვაჰმე! ფუჭია ამაზე მოთქმა თუ მოუთქმელობა.
მაგრამ მე რისთვის დამატყდა ამ ბედის უღმობელობა?
ცეცხლი გადავეც ციური მე კაცთა გვაროვნებასა,
იგი დაედო საფუძვლად ყოველსა ხელოვნებასა.
აი ამიტომ შემბიზურეს, ჯაჭვი დამადეს ზედ ესა,
შემკრეს, შემბოჭეს რკინითა და ამ კლდეს მიმაქედესა.

მაგრამ რაა, რა ხმა მესმის, ეს რა სუნი მოაქვს სიოს?
კაცი არის თუ ღვთაება, აქ რომ უნდა შემესიოს?
რა ჰსურს? ჰნახოს ჩემი ტანჯვა თუ მითხრას რამ საყვედური?
ოჰ, ვინცა ხარ, მოდი, მოდი! ჰნახე ღმერთი უბედური,
ვინცა კაცთა დასახსნელად შეეჯახა თვითონ ზევსსა,
მის ტახტსა და მის ამაღას, ერთნაირად დასაქცევსა.

ვაი მე! ფრინველებია, მესმის ფრთებისა ბგერანი,
ახლოა, ახლო... ხმას აძლევს ეს არე-მარე ვერანი.
შიშმა გადამკრა, წუხილსა კიდევ წუხილი წაება,
რამ ავი სული არ იყოს, არ მომიტანოს ვაება.

პრომეთე, გუნდი ოკეანიდებისა (მოფრინდებიან ფრთოვან ეტლზე).

გუნდი

არა, არ მოგვაქვს ვაება,
ჩვენ ვართ კეთილი ღვთაება,
ნება-რთვა ვთხოვეთ მამასა;
ქარი გავაპეთ ეტლითა
და ქროლით შეუწყვეტლითა
მთას მოვადექით ამასა.
მოგვესმა უროს გრიალი,
მან გაადინა ბზრიალი
ქვესკნელში ოკეანეთა.
ავცვინდით მაშინ ყველანი
და ასე, ფეხ-შიშველანი,
აქეთ გამოვექანეთა.

პრომეთე

ტურფა ასულნო თეტისის და იმ ღვთაების დიდისა.
მიწას რომ ტალღით ეხვევა შესამკობელად კიდისა.

მოდით, ჰნახეთ ჩემი ტანჯვა, ჰნახეთ, სად ვარ გამოკრული,
ბინად მერგო მე უბედურს ეს ქედი და ეს უფსკრული.

გუნდი

ვხედავ, პრომეთე, შენს ტანჯვას, ცრემლით მევესება თვალები,
შენი სხეული, ჯაჭვითა ნაწვალეები და ნალეები,
გულში მიმატებს ძრწოლასა.

ოლიმპი გამოიცვალა, ის დარჩა ახალ ბატონებს,
ზეესი განაგებს ყველაფერს, სცემს უსამართლო კანონებს,
ვინ გაუბედავს ბრძოლასა?

პრომეთე

მის მაგიერ, რომ აქ მტანჯოს, ბორკილების შემოხვევით,
ნეტა ქვესკნელს გადავეგდე, ჯოჯოხეთში, მიწის ქვევით!
სიბნელეში ვერ ვნახავდი ვერცა მიწას, ვერცა ზეცას,
ავიცდენდი დაცინვასა, ღიმილითა ტუჩთა ბრეცას,
მაგრამ არა! აქ გამაკრეს, რომ ვუყურო ცისა კიდეს,
ცისა პირად ცის მასხრებმა სამასხაროდ გამომკიდეს.

გუნდი

ვის ექნება, თუ არ ზევსსა, უღმობელი ისე გული,
შენი ტანჯვით რომ არ იყოს დამწვარი და დადაგული,
რას არ ჰჩადის ეს მტარვალი, მრისხანე და თავგასული,
იგი სტანჯავს ცაში მცხოვრებთ, ამოართვა ყველას სული,
და ეს ასე გაგრძელდება, სანამ ცაში ის განაგებს
და ბოლო არ მოელდება მას და მისი ამხანაგებს.

პრომეთე

თუმც მიკრული ვარ ამ კლდეზე, ჯაჭვი მაქვს შემოვლებული,
მაგრამ დრო მოვა, ზევსიცა გახდება იძულებული
მოვიდეს, მკითხოს, ვინ არი, ვინც მას არ მოერიდება,
ძალაც ექნება დაამხოს მისი ტახტი და დიდება.

მაგრამ ვერა! საიდუმლოს არ გაამხელს ჩემი ენა.
ვერ-რას გასჭრის ვერც ალერსი, ვერც მუქარით შემოდრენა.
ტყუილია გავუწიო ამისთანა სამსახური,
სანამ ჯაჭვი ზედ მაყრია, მესმის მისი ჩხარა-ხჩური.

გუნდი



კიდევ შენი სიამაყე! დიდი არის გასაჭირი,
და მე მიკვირს, რომ არაფერს ერიდება შენი პირი.
მე მიკვდება შიშით გული, შენთვის მომდის ცრემლი ცხარე,
ვინ იცის, თუ რა მოგელის, რამოდენი სიმწუხარე.
კრონოსის ძეს ვინ გაიგებს? მის განძრახვა არის ბნელი,
იქ რაიმე სათნოება სანთლით არის საძებნელი.

პრომეთე


ვიცი, არის უღმობელი, კადნიერიც ეს მტარვალი,
რაცა თვითონ მოუნდება, ის ჰგონია სამართალი.
მაგრამ ბედი მასაც ჩაჰკრავს, მორბილდება მისი გული,
დამშვიდდება მისი წყრომა, უკვე ზომას გადასული,
მაშინ მოვა კისრის მტვრევით, როგორც მე მას ვეახელი,
და დამიწყებს აქ ვედრებას გავუწოდო ძმურად ხელი.

გუნდი

მაგრამ რა მოჰხდა, რად მოგცა სასჯელი ბარბაროსული?
რა ჩაიღინე ისეთი? რად იყო გულზე მოსული?
ეს მითხარ, გამაგებინე, შენთვის რა ზომცა ძნელია.

პრომეთე

ვაიმე! თქმაც და არა-თქმაც, ჩემთვის ორივე მწველია.
შური ატყდა ღმერთთა შორის, დიდი იყო ცეცხლთა დება,
ზოგს უნდოდა კრონოსისა ტახტიდანა ჩამოგდება
და აყვანა მაზე ზევსის, ზოგი იყო სხვაფრივ მსჯელი,
და დაიწყო იმათ შორის შეტაკება საშინელი.
ჰგულადობდნენ მარტო ღონით, არვის ჰქონდა ხერხის შიში,
მათი აზრით, ის არ იყო მისაღები ანგარიში.



მე ვუთხარი ცაში ღმერთებს და მიწაზე ბევრსა ტიტანს,
რომ ღონე და მარტო ღონე ვერაფერსაც ვერ გაიტანს;
ვეჩიჩინე მე მათ ბევრი, მაგრამ მე არ გამიგონეს,
ვერც ვერავინ დავაჯერე, რომ სჯობია ხერხი ღონეს.

თემისმა, ჩემმა დედამა, და მასთან თვითონ მიწამა,
რომლის ღვთაება დიადი ბევრმა ქვეყანამ იწამა,
მე გამიმხილეს წინასწარ: „ეს ბრძოლა რომ მზადდებოა,
ღონით და ძალადობითა იგი ვერ გადაწყდებოა;
დაიმახსოვრე ეს კარგად, რა უნდა გითხრათ მეტიო:
ხერხია მხოლოდ და ხერხი ბრძოლისა გარდამწყვეტიო!“

მე მოვიწვიე ღმერთები, გადავუშალე წინ ესა,
მაგრამ ყური არ დამიგდეს, სიტყვაც არ მომისმინესა.

ამ ყოფაში რას ვიზამდი? მე მივყვედი დედის რჩევას,
დავუქირე ზევსსა მხარი, ადგილი არ ჰქონდა რყევას.
ჩემი რჩევით, ჩემი ხერხით მან მოიგო კიდევ ბრძოლა,
კრონოსი და მის ამაღლა სულ ქვესკნელში გადისროლა.
ამის შემდეგ ამ მტარვალმა მე, ამ ბრძოლის ნამდვილ გმირსა,
დამაყარა ა, ეს ჯაჭვი! სხვა სიკეთე არ მეღირსა.
ასეთია საზოგადოდ მტარვალისა ზნე და წესი:
თვითონ უნდა ჩამოახრჩოს ამხანაგი უკეთესი.

ეხლა თქვენ გინდათ გაიგოთ მიზეზი ტანჯვის ამისა?
ყური დამიგდეთ: ტახტი რომ ხელში ჩაიგდო მამისა,
გასამაგრებლად მეფობის ამგვარად დანამყარისა,
დაიწყო იმან ჩუქება, გაცემა საბოძვარისა.

სულ დაამდიდრა ღმერთები, ყველა დიდი და მცირენი,
არ მოსპო მხოლოდ კაცთათვის ცხოვრების სიღუბეჭირენი.
მან გადაწყვიტა მიღებაც უფრო სასტიკი ზომისა:
გაწყვეტა ძველის და შექმნა კაცთა ახალი ტომისა.

ვერა, ვერვინ გაუბედა წინააღმდეგ ეთქვა რამე,
მე გავბედე! მხოლოდ მე ერთს მქონდა დიდი სითამამე.



შევუშალე მე მას ხელი, მები მედგრად არ ეფრიწა
 და დახოცილ ხალხთა მძორით არ აემსო დედა-მიწა.
 აი ჩემი შეცოდება! გულზე გასკდა ამიტომ ის,
 ტანჯვით უნდა შემანანოს მფარველობა კაცთა ტომის.
 შემბრალებელი ყველასი არ ვებრალევი არავის.
 მომცეს სასჯელი ტანჯვისა ნახვითაც შემაზარავის.
 მაგრამ მტარვალსაც ეყოფა სირცხვილად ჩემი წვალება.

გუნდი

ვის არ მიჰწვდება სიმწვავეთ ეს ცეცხლის დატრიალება,
 თუნდაც რომ ჰქონდეს ქვის გული, მორტყმული რკინის
 რკალითა?
 ნეტავი არ მოსულ-ვიყავ, სულ არ მენახე თეალითა!

პრომეთე

მეგობრებსა სიბრალოული ალბად ბევრსა მოედება.

გუნდი

ერთი მითხარ: არ მიგიძღვის კიდევ სხვა რამ შეცოდება?
 რისხვით ეგზომ საშინელით ზეცა რატომ მოგიბრუნდა?

პრომეთე

დიად! ჩემი მეოხებით დღეს სიკვდილი არვის უნდა.

გუნდი

რა წამალი მიაშველე დავიწყებულს სასოებით?

პრომეთე

ბრმა იმედი ჩავუბეჭდე გულში ოქროს ასოებით.

გუნდი

რა გიქნია! რა სიკეთე! დაგიხსნია სწორედ კაცი!

პრომეთე

მე მას ცეცხლიც გადავეცი, ცეცხლი ციდან მონატაცი.

გუნდი

ცეცხლი?! ნუთუ მის ხელშია ეს მაშუქარი ქონება?

პრომეთე

ღიად! ამ ციურ ალითა მას გაეხსნება გონება.

გუნდი

მაშ სულ ეგ არის მიზეზი ცისა აგეთი წყრომისა?
ნუთუ ეს უნდა გაგრძელდეს დაუდებელად ზომისა?
მას ბოლო უნდა მოედოს, ეს ტანჯვა ისე დიდია.

პრომეთე

ბოლო ტანჯვისა ისევე ზევსის სურვილზე ჰკიდია.

გუნდი

მერე რა გაქვს, რა იმედი, ან ამყარებ იმას რაზე?
ახ, პრომეთე! ახ, პრომეთე! შენ ის მეტად გააბრაზე.
მაგრამ არ მსურს გაგაგონო შენ ამაზე საყვედური,
ეს ხომ მეცა გულსა მატკენს, ვერც მოისმენს შენი ყური.
დავანებოთ ამას თავი და ვეძებოთ რამე ღონე,
რომ რითიმე დავაჩქაროთ შენი დახსნა...



საქართველოს
ქრონიკა

ნაპირიდან ადვილია ბრძნული რჩევის გადმოგდება,
 როცა სხვაა ჩავარდნილი წყალში, ტალღა ზედ ასკდება.
 ვაწყენინე ზევსსა, ვიცი, მე მინდოდა მისი წყენა,
 ამის უარს მე არ ვამბობ, არცა იტყვის ჩემი ენა.
 მე ვუშველე კაცთა ტომსა, დავიღუპე ჩემი თავი,
 არ მეგონა, დღე ამისთვის მექნებოდა ეგზომ შავი
 ამ კლდეზედა, სადაც მხოლოდ ქვაა ქვაზე დანაჩეხი,
 ამ ქედზედა, სადაც ჯერე არ დაუდგამს კაცსა ფეხი.

მაინც თქვენ ნულა იქნებით მხოლოდ ამ დღისა მგლოველი,
 გიამბობთ მასაც, ტანჯვასა კიდევ რა და რას მოველი.
 მობრძანდით! ჩემი შავბედი მთლიანად გეცოდინებათ,
 ყური დამიგდეთ ბოლომდე, ცრემლიც თუ დაგედინებათ.
 უარს ნუ მეტყვით უბედურს, სხვასა არა გთხოვთ შველასა,
 შავბედი ზე დაგვტრიალებს, ის ემუქრება ყველასა.

გუნდი

შენი ბედისა გაგებით
 ჩვენ უფრო დავიდაგებით,
 გველის მოთქმა და გლოვანი;
 მაინც ეს წამი ძვირია,
 მოვდივართ! არა გეჭირია
 ეხლა მარხილი ფრთოვანი.
 ჩვენი შიშველა ფეხებით
 აი, მიწასა ვეხებით,
 თუნდაც რომ იყოს კლდოვანი.
 გვინდა ვიცოდეთ მრავალი
 შენი თავგადასავალი
 მწველი და სახელოვანი.
 (ოკეანიდები ჩამოდიან ეტლიდან).

მოქმედება მეორე

სცენა I

პრომეთე, გუნდი, ოკეანე (პზის რაღაც საშინელ ცხოველზე).

ოკეანე

ჰე, პრომეთე! ამ ცხოველზე გადმოვლახე მთა და ბარი, თუმც აბია ოთხი ფეხი, ფრენა იცის უებარი: ჩემი ნების მორჩილია გავარდნილი საცისპიროდ, იქ მიმაფრენს, სადაც მინდა, უდევოდ და უაღვიროდ.

მე ვიზიარებ შენს ტანჯვას, ამას არ უნდა დავანი, ჩემი სისხლი და ხორცი ხარ ლალი და ამპარტავენი; მაგრამ გარეშეც რომ იყო, მაშინაც შენ მეყვარები. ცრუ და ჯაბანი არა ვარ, ლაჩრად არ დავიარები, პირმოთნეობა არ მიყვარს, მალე გაიგებ ამასა. როგორ გიშველო? მითხარი, მომენდე, როგორც მამასა.

პრომეთე

როგორ? თქვენცა აქ მობრძანდით? ჩემი ბელი თქვენც გამწარებს?
მიატოვეთ ზღვათა არე, თქვენს სახელსა რომ ატარებს?

მიატოვეთ ქვაბნი სრულნი, ათასფერი ლოკოკინა,
რომ მთა ჰნახოთ, სადაც მხოლოდ ბლომად ჰყრია ქვა და
რკინა?

აქ მობრძანდით გასართობად? თუ გედებათ მართლა ალი,
რომ იხილოთ თქვენი თვალით ეს უღმერთო სამართალი?!
ჰხედავთ, როგორ ვიტანჯები მე, ზევსისა მეგობარი,
მე, ვინც ტახტზე ავიყვანე ეს მტარვალი უნდობარი?!

ოკეანე

ვხედავ, პრომეთე! სასჯელი გადასულია ზომასა,
მაგრამ მე გირჩევ: დამშვიდდი, ნუ გადაჰყვები წყრომასა.
ტახტზე ახალი ღმერთი ჰზის, შენი ლანძღვა და გინება
მასაც მიჰწვდება, ოლიმპის მთაზედაც მოიფინება;
მაშინ, იცოდე, ამ მთაზე შენ ვერ იპოვნი მცველებსა,
და ტანჯვა ახალ-ახალი შენ მოგანატრებს ძველებსა.

უბედურო! ჩაიკალი ეს უძლური გულის წყრომა,
შეეცადე გაპატიონ, ამ სასჯელსა დასდონ ზომა.
მოხუცისა გულ-წრფელ რჩევას გაუწიე ანგარიში.
ვიცი შენი გულადობა, შენ ტანჯვისა არ გაქვს შიში,
მზად ხარ კიდევ აიტანო ყოველგვარი გასაჭირი,
მაგრამ სიტყვებს სჯობს მედიდურს არ ისროდეს შენი პირო.

ისმინე სიტყვა მოხუცის, შენ გეხვეწება რომელი,
მრისხანე არის მეუფე, ტახტზე მორჭმითა მჯდომელი.
წავალ, მე შევეხვეწები, მოჰრჩეს ბრაზსა და წყენასა.
ოლონდ შენ ჩუმად იყავი, კბილი დაადგი ენასა.
თვითონ მიხვდები, იმდენად ფეროვანი გაქვს გონება,
რომ დაუსჯელად უშვერი სიტყვა არ გაიგონება.

პრომეთე

ნეტავი თქვენ! თავიდანვე თქვენა გვერდი აგვიარეს.

ვერ შეგახეს ხელი ჩემსა მეგობარს და მოზიარეს.
მაგრამ ჩემზე ნულა სწუხხა.ოთ, ნურას ითხოვთ მეტადრე კი.
ზევისის გულსა თქვენ ვერ მოჰდრეკთ, იგი არის მოუდრეკი.
ნუ სად წახვალთ! შეიძლება გამოაბან ამას კული.

ოკეანე

კარგი რჩევა სხვისთვის გინდა, შენთვისა კი მუდამ ცუდი.
ხელს ნუ მიშლი! იმედი მაქვს, დიად, მე მაქვს ეს იმედი,
დავაწყნარებ ზევისის გულსა, შეიცვლება შენი ბედი.

პრომეთე

მესმის მე თქვენი სურვილი, წადილი თქვენი გულისა,
ეს მეგობრობა დიდია, მომშუშებელი წყლულისა.
მაგრამ ნუ იზამთ ნურათერს, ვერ მიხსნით ამ მუდარებით:
წადით აქედან, სჯობია, ახლო ნუ გამეკარებით!
არ მინდა ჩემი გულისთვის ვინმე ხიფათსა გაებას,
ეს-ლა აკლია ჩემს ბედსა, ჩემსა ტანჯვას და ვაებას.

ოკეანე

აბა როგორ მივატოვებ?! მოიგონე ძმისა ბედი,
ატლასისა!.. დასავლეთში წახრილი აქვს იმას ქედი,
ცა და მთელი დედა-მიწა ზედ აწვება უბედურსა,—
განა მე ის მივატოვებ? ვერვინ მეტყვის საყვედურსა.
მოიგონე, კილიკიის ბნელ ხრამებში განაზარდი,
ეს ტიფონი ბუმბერაზი, ამავე დროს მხნე და მარდი,
ეს ნაყოფი დედა-მიწის, ას-თავიან დევთა-დევი,—
განა მე მას არ მივხედე, გული არა დაუღდევი?!

დორბლითა ჰხოცდა დევებსა, შხამი ისეთი სდიოდა,
ანთებულ ნაკვერჩხალები თვალებიდანა სცვიოდა,



გეგონებოდა ის იყო ტახტისა დამამხოველი,
 მაგრამ იქეჭა, გავარდა მეხი ლახვართა მსობელი!
 ტიფონსა არ შერჩენია სახეცა მის მინაგვანი,
 ავარდ-დავარდა, გავარდა, შორს გაადინა ბრავგანი.

ცეცხლ-მოდებულ, უძალ-ლონო, ჰგდია ეხლა მისი ტანი,
 ხარიბდისა სრუტეს გაღმა, ეტნის ძირში ჩანატანი.
 მის ნაწლავებს აღმური სდის—გესმის? ჩემო უბედურო!—
 მალლა მთაზე ჰეფესტი ჰზის, აბრავუნებს მის, ურო
 ამ მთიდანა წამოსქდება ერთ დღეს ცეცხლის ნიაღვარი,
 გადიწვება სიცილიის საამური მთა და ბარი.
 ტიფონი კი ჰწევს და ჰბოლამს გულ-მუცელი დახეული,
 და იქნება დიდხანს კიდევ ეტნა ბოლში გახვეული.

პრომეთე

ჩემი რჩევა არ გჭირიათ,—რაღა გკადრო ბრძენთა-ბრძენსა?
 თქვენი ცდა და მზრუნველობა მე სიკეთეს არ შემძენსა,
 სანამ ზევსი არ დამშვიდდა, წყრომა უდღულს ამოდენა.

ოკეანე

სწორედ წყრომის წამალია მოუბარი ამოდ ენა.

პრომეთე

თუ ხელს გიწყობს დრო და ჟამი, თუ არავინ შეაწუხებ.

ოკეანე

მაინც ცუდი რა მოჰხდება? რასა ვკარგავთ? მიპასუხებ.

პრომეთე

ბავშობაა! სისულელე! თქვენ მე ამით ვერ მიშველით.

ოკეანე

დეე, ვიყო მე ეს ბავშვი, მომლიოდეს სისულელით,—
ხშირად ბრძენი მიზანს ახწევს სულელისა სამოსელში.

პრომეთე

ბოლოს ისევ მე მომხდება, გავეხვევი ახალ ქსელში.

ოკეანე

მაშ არ გინდა დაგეხმარო? საქმეს ხელი არ მოგკიდოთ?

პრომეთე

ფრთხილად! თქვენი თანაგრძნობით მტერი კი არ გადიკიდოთ.

ოკეანე

ვინ მტერია? ის, რომელიც ტახტზე დასვა ახალ ღრომა?

პრომეთე

ღიად ისა! მოერიდეთ, აიცილნეთ მისი წყრომა.

ოკეანე

მართალია, შენი ბედი გაფრთხილებას კი იძლევა.

პრომეთე

იქონიეთ ის სახეში, გიჯობს ეხლავ უკუ-ქცევა.

ოკეანე

მართალი ხარ!.. ამ ჩემ რაშსაც უხარია ცაში გავლა,
ფრთასა ჰშლის და ცხვირსა ჰბერამს, აგონდება მისი თავლა.

(ოკეანე შეჯდება თავის საშინელ ცხოველზე
და გაფრინდება).

გუნდი ოკეანიდებისა.

ჰოი პრომეთე! დაგტირი შენა,
 შენი ბედით ვარ ლახვარ-ხეული,
 არ ჰწყდება ჩემი ცრემლისა დენა,
 თვალებიდანა ჩამორხეული.
 ზევსი გაგვიხდა მტარვალს დიდი;
 მრისხანემ თავი მით ისახელა,
 რომ სხვა ღმერთების არა აქვს რიდი,
 ყველა დაამხო, მოჰდრიკა ყველა.

გაისმის კვნესა, მწველი გულისა,
 გამოძახილი ბანს აძლევს მთების,
 მიზეზი ცრემლთა ნაკადულისა
 შენი ბედია და შენი ძმების.
 აგყარეს ძალა მრისხანე ხელით,
 ცა მთოვარეა ჭირზედა ჭირის,
 და შეიმოსა ქვეყანა ბნელით,
 ჰტირის აზია, მსოფლიო ჰტირის:

ამაზონები ტურფა კოლხიდის
 პირად ვარდი და ტანად სარონი;
 სკითინი, მცხოვრებნი იმ შორი კიდის,
 რომელიც მიწის ბოლომდე მიდის,
 ჭაობის ირგვლივ ზღვის მებატიდის,
 უბინადრო და უსახლკარონი;
 არაბი მხნე და კვალად ის ერი,
 ვისაც კავკაზის ქედი კლდოვანი
 უჭირავს, იბრძვის სახელოვანი,
 არ წაუხრია ჯერედ კისერი.

ატლასი მხოლოდ, ის დევთა-დევი,
სხვა მე არ ვიცი, ის არის ერთი,
ისე, როგორც შენ, ნაძალადევი,
ისე, როგორც შენ, წამებულ ღმერთი.
ზურგზე მას ადევს საშინელ ტვირთი—
ცა და ქვეყანა მთელი სიმძიმით;
მის ბედს დასტირის ღრიალით ზვირთი,
უფსკრული ჰკენესის, დამწვარი იმით;
თვითონ ჰადესის ბნელი არენი
ჰკენესენ წყვედიადში, მიწისა ქვევით;
და ჩამორბიან ცრემლისა რხევით
წყარონი მისთვის მგლოვიარენი.



მოქმედება მისამი

სცენა I

პრომეთე, გუნდი.

პრომეთე

სიამაყით არ მომსვლია, თუ შევწყვიტე საუბარი;
მაგრამ რა ვქნა? სევდა მახრჩობს, სევდა გულში ნაგუბარი.
განა მე არ მივანიჭე, განა მე არ შევუქენი
ამ ღმერთებსა მათი ტახტის სიელვარე - სიშუქენი?!

მაგრამ ეს კიდევ გაამბეთ. — ეხლა ეს მომისმინეთა:
იციტ თუ არა, რა იყო კაცობრიობა წინეთა?!
უგუნური და უმწეო, საცოდავი რამ მონები,—
მე კი გავხადე ოსტატი, მრეწველი, გამომგონები.
ტრაბახობითა არ ვამბობ, არცა რამე მაქვს სანანი,
თქვენ დააფასეთ, თქვენ თვითონ, საქმენი ამისთანანი:

თვალეები მას ესხა წინეთ, ცუდი იყო მხოლოდ ხედვა,
ჰქონდა სმენა, მაგრამ სმენა გაგებაში კი არ ედვა,
და მის თავში ირეოდა, გასწვრივ დიდი დრო და ხანის,
ვით სიზმარი უთავბოლო, მოლანდება ხან ეს, ხან ის;
არ იცოდა მოხმარება არც ფიცრისა, არც აგურის,



არცა სახლის აშენება, სინათლიან რამ სადგურის;
 მიწას ჰთხრიდა, ორმოებში ჩასატრული იყო ყველა,
 და თხრილებში დაჰძვრებოდა ისე, როგორც ჭიანჭველა.

არ ჰქონდა მისი ნიშანი, ცოდნაც ოდენი ბეწვისა,
 თუ როდის ჰდგება ზამთარი ან დრო მკისა და ლეწვისა;
 მე დავასწავლე, როდის ჰკრთის ნათელი განთიადისა,
 როდის ამოდის მნათობი, როდის მნათობი ჩადისა.
 რიცხვის მომგონი გახლავარ, ცოდნისა მშვენიერისა,
 მივაწყვე ასო ასოსა, შევქმენ ხელობა წერისა;
 მე გავამაგრე მიმჭრალი მანამდე მეხსიერება,
 დედა მუშების, ცხოვრების სული და მშვენიერება.

დიად, მე ვარ, ვინც პირუტყვი დაიმონა სულ პირველად,
 ვინც დაადგა მას უღელი სამუშაოდ შინ თუ ველად;
 ცხენი ლაგამს მივაჩვიე და გახედნილ აგრე ცხენებს
 საზეიმოდ, სათამაშოდ, ეხლა ვინ არ დააქენებს?
 მოვიგონე ტილოს ფრთები და შემკულსა იმით ნაცებს
 სად არ ჰნახავ გაშლილ ზღვაზე, ტალღა სად არ აქანავებს?
 წინ წავსწიე კაცთა ტომი, ბევრი მივეც შნო და ღონე,
 მხოლოდ ჩემი დასახსნელად ვერაფერი მოვიგონე.

გუნდი

შემცდარი იყავ თავიდან, სწორი არ გქონდა მსჯელობა,
 სწორედ ამიტომ დაგატყდა ამ ბედის უღმობელობა.
 არ შემიძლია, ვით ექიმს კარგსა, შენ მოგესალამო:
 არ იცი, რა ჭირს რა უნდა, რომელს რომელი მალამო.

პრომეთე

ყური დამიგდეთ, — ამისთვის თქვენი არმინდა ქებანი, —
 რა დავასწავლე მე კაცსა, რა და რა ხელოვნებანი.

უწინ — და აქ მე მიმიძღვის სამსახური მართლა ძვირი —
ხალხს თუ სენი ედებოდა, მძვინვარებდა რამე ჭირი,
წამალს ვერსად იპოვნიდი, ჩასაყლაპს თუ დასალევსა,
და ჰწყდებოდა ხალხი, მისთვის არ ეცალა მაღლა ზევსა.
მე წამლები შევადგინე, ვძლიე იმით ბევრი სენი,
ხალხს მივეცი განკურნება, ტანჯვისაგან დავიხსენი.

ღიად, მე ვიყავ პირველი სიზმართა გამომკვლეველი,
მცოდნე გზობისა, ნიშნების ავის თუ კარგის მცნეველი.
ქორთა სრიალსა, მე ვიყავ, ფიქრით პირველი წაგები
ავის თუ კარგის, გავიგე, რა იყო მომასწავები;
პირუტყვთა ხტომით ვსცან მათი ბუნება, მიდრეკილება,
რა უყვართ ღმერთებს, რა არა, რომელს რა ეთაკილება;
ავხსენ ღვიძლის თუ ნაღველის სხვადასხვა სილამაზენი,
ქონში გახვეულ ბეჭები ცეცხლითა ამოვხაზენი;
კაცსა სინათლე-დაკარგულს მე ავუხილე თვალები,
ფარდა ავხადე ბუნებას, ვალაპარაკე ალები.

ეს ცოტაა! ეს სიმდიდრე მიწის გულში ჩაბნეული —
რკინა, თუჯი, ვერცხლი, ოქრო, კვლავ სხვადასხვა
მადნეული —
ვინ იტყვის, რომ ჩემზე უწინ შესძლო მათი აღმოჩენა?
მატრაბაზი ამისთანა მართლაც ღმერთმა შეაჩვენა!
ერთი სიტყვით, თუ რამ ცოდნა, თუ სად რამე სიკეთეა,
შემომქმედი ყველაფრისა მხოლოდ ერთი პრომეთეა.

გუნდი

ამოდენა ღვაწლის შემდეგ, ამოდენა მოქმედების,
მაგრად იყავ! მწუხარება გულში ალად ნუ გედების.
იმედი მაქვს, რა რომ დაჰყრი, რა რომ დასწყევტ
ამ ბორკილებს,
ამაღლები კვლავ დიდებით, ზევსიც კი არ გითაკილებს.



პრომეთე

არა, ეს ბედი არა მაქვს, სხვა არის დადგენილება,
ჩემი ტანჯვის და ვაების ჯერ არ მოხდება ცვლილება,
ჯერ ხელოვნება სუსტია, ვერ შესცვლის ბედის წერასა.

გუნდი

ნუ თუ ძლიერი ზევსიცა მას ვერ დააკლებს ვერასა?

პრომეთე

ვერა, ვერაფერს! ზევსიცა იმასა ემორჩილება.

გუნდი

მის მეფობაში მაშ არის მოსალოდნელი ცვლილება?

პრომეთე

ნუ მეკითხებით! არ მინდა ამ საიდუმლოს მხილება.

გუნდი

ნუთუ ეს საიდუმლოა რამე საშიშართაგანი?

პრომეთე

ნუ მეკითხებით! საუბრის სჯობს გამოცევალოთ საგანი.
დრო არ დამდგარა მხილების, ეს საიდუმლო დიდია,
ჩემი ხსნაცა და არა-ხსნაც ამ მხილებაზე ჰკიდია.

გუნდი

ნეტავი ზევსი, ცათა მყრობელი,
ჩემს წადილს წინ არ აღუდგებოდეს,

ნეტავ შეწირვა შესანდობელი
მისთვის ყოველთვის შემეძლებოდეს,
იქ, სადაც მეფე ზღვათა მფლობელი
ოკეანეა, ჩემი მშობელი;
ყვედრება რამე ნეტავ არ-ოდეს
პირიდან მე არ წამომცდებოდეს
და გულში მუდამ მებეჭდებოდეს
ცისადმი ტკბილი საგალობელი.

უკდავი გული, სული ღვთიური,
დროსგატარება ზე-ქვეყნიური —
რა სჯობდა ამას, რა გასურდა კიდე?
ჰოი პრომეთე! მიკვდება გული
შენი ტანჯვითა ცეცხლ-მოდებული —
შენ ზევსს აღუდევ, არ მოერიდე.
მაღალი იყო შენი ბუნება,
არ გასურდა კაცის დაძაბუნება,
შენ მას გადაჰყევ, გადაეკიდე.

სად არის მერე ნაყოფი შრომის?
რად გინდა კაცის დამშობილება?
ოჰ, უბედურო! არ იცი, რომ ის
საცოდავი რამ არის ქმნილება?
ბრმა და უვიცი რას შეგეწევა,
რამ უნდა მოგცეს კმაყოფილება?
მის აჯანყებით არ წაიქცევა
დამყარებული წეს-წყობილება.

შენი ბედისა უმოწყალობა
საბუთს იძლევა დასაყრდნობელსა.
ოჰ როგორ არ ჰგავს ჩემი გალობა
იმ დროის ტკბილსა საგალობელსა,



როცა შენს ლოგინს ლხენითა ვშლიდი,
შენს ჰაუზებში ვარდებსა ვყრიდი,
და ჰეზიონეს, ჩემს დასა, ვთვლიდი
შენი საბედოდ, უცხოდ კი არა.
შენ იმას მაშინ წაუღე გული,
საჩუქრებითა დატყვევებული,
და მანაც გიძღვნა სიამე სრული —
საწოლი შენი გაიზიარა.

მოქმედება მეოთხე

სცენა I

იო, პრომეთე, გუნდი.

იო (ფურად გადაქცეული)

რა მიწაა? რა ქვეყანა? ამიხსენით, სად მოვედი?
ვინ არის ეს უბედური ამ სალ კლდეზე მინაქელი?
რად სტანჯავენ? რად მოუდევს ცეცხლი ეგზომ დაუშრეტი?
ოჰ უფალო! თავბრუ მესხმის, ამივარდა ისევ რეტი.
მიწავ! არგუს მომაშორე, ეს ოხერი მენახირე,
უკან დამდევს მისი ლანდი, სადაც კი არ წავეხირე,
მიმზერს მისი ასი თვალი, სულ ჩემზე აქვს დანაქცეტი,
მე მეგონა მოჰკვდა კიდეც, დარჩენილა გაუჭყლეტი;
სჩანს, ამოძვრა ქვესკნელიდან, დაუბრუნდა მიწას კიდე,
რომ მშიერი და მწყურვალე მარბენიოს კილით-კიდე.
სალამურის სტვენა მესმის, მიწნულია ღერსა ღერი,
ძილისაკენ იგი მიწვევს ნალვლიანად ანამღერი.

ჰოი ღმერთებო! სადა ვარ, რა მხარე გამირბენია?
კრონოსის ძეო! რა მიყავ, რა ცოდო ჩამიდენია?
რად მტანჯავ, რა გაწყენინე, შენი რა არა ვიწამე,

რად არ დამარტყამ შენს მეხსა, რად არ ჩამიტანს მიწა მე?
რას შერჩი, რა გშურს, რა გინდა ჩემი მუდმივი რბენითა?
სად არის ბოლო ამ ტანჯვის?! ეს მაინც ამიხსენითა.

გუნდი

პრომეთეო! გესმის მოთქმა ამ საწყალი რქოსან ქალის?

პრომეთე

მესმის, ვიცი მე ამბავი მის და მისი ბუზანკალის.
მის სიტურფემ ზევსსა გული ტკბილი ვნებით აუელღერა;
ეს ამბავი რომ გაიგო, წამოინთო ბრაზით ჰერა;
მან აქცია იგი ფურად, სილამაზის მოსპო ძალა,
და მუდმივი საწვალეზლად მიუჩინა ბუზანკალა.

იო

ეს რა მესმის? ეს ამბავი როგორ მოჰხვდა შენსა ყურსა?
სიდან მიცნობ ასე კარგად უბედური უბედურსა?
შენ გცოდნია, რა ტანჯვაცა მომივლინა ციდან ცამა.
ოჰ რამდენი ამ წყეულმა ჩემი სისხლი სვა და ქამა!

ვაიმე! მშიერ-მწყურვალი მოვრბივარ გადარეული,
თანა მდევს, არა მშორდება ეს ბუზანკალა წყეული.
ვინ არის ასე განწირულ, ვისა ვინ უწამებია?
ვინ დატანჯულა, სიცოცხლე ასე ვის გაარმებია?
კიდევ რამდენ ხანს იქნება ცა ამ ვაების მთოვარი?
ოჰ, შემიბრალეთ, მითხარით, ქალი ვარ გასათხოვარი!

პრომეთე

რაცა გინდა, ყველაფერსა მოგახსენებ, გეტყვი სრულად,

გეტყვი, როგორც მეგობარსა, გულ-ახდილად, მეგობრულად.
შენს წინაშე—პრომეთეა, ტყვე და მსხვერპლი ცათა წყრომის.

იო

ოჰ პრომეთევე დიდებულო! ოჰ მფარველო კაცთა ტომის!
როგორ მოჰხდა, რად დაგატყდა ეს სასჯელი საარაკო?

პრომეთე

მაზე მქონდა საუბარი, კიდევ რა ვილაპარაკო?

იო

გებვეწები!

პრომეთე

კარგი, უარს შენ არ გეტყვი ამაზედა.

იო

მაშ მიბრძანე, ამ სალ კლდეზე ვინ და როგორ მიგაქედა?

პრომეთე

ეს ბრძანება ზევსის იყო, ჰეფესტისა იყო ხელი.

იო

რა შემტოდე შენ იყავი, რა ფიცისა გამტეხელი?

პრომეთე

კმარა ისიც, რაც გითხარი.



იო

ოჰ, ეს მაინც გამაცანი:

რა ვადა მაქვს დადებული, რას ჰფიქრობენ ჩემზე ცანი?

პრომეთე

ცოდნა არა ჰლირს, სჯობია, თუ სულ არ გეცოდინება.

იო

ოჰ ნუ მიმაღავ! რა მელის, კიდევ რა ცრემლთა დინება?

პრომეთე

მე მეშინია, ვაი თუ მით მოგიმატო წვალება.

იო

ჩემზე ზედმეტად შენ თავი ჩემი ნუ შეგებრალება.

პრომეთე

ბატონი ხარ! მოისმინე! მე არ მინდა გითხრა ვარი.

გუნდი

უკაცრავად! დამაცადეთ, ჩვენც გვაქვს ჩვენი სათხოვარი:
ჯერ გვიამბოს თვითონ იომ მისი თავგადასავალი,
მერე სიტყვა შენ გექნება, გადუშალე მომავალი.

პრომეთე

ასიამოვნე, იო, მათ, სულ შენი მამიდებია,
გაუზიარე სევდა მათ, რაცა შენს გულსა სდებია.

სევდა ნაკლებად მწველია, ღლენი ნაკლებად მწარენი,
როცა შენ ყურსა გიგდებენ შენი წვის მოზიარენი.

იო

კარგი! ვის ვეტყვი, თუ არ თქვენ, ვინა მყავს მისანდობელი?
ჩემი ამბავი მწველია, ენითაც მოუთხრობელი.

ხშირად სიზმარსა ვხედავდი ქალწული გასათხოვარი;
რადაც ხმა სადღაც მიწვევდა ტკბილი და შეუპოვარი,
მეუბნებოდა: „ლამაზო! რად გინდა სიქალწულო?
სცან სიტკბოება ცხოვრების, ღლესა მოწყენით ნუ ლეო!

ზევსს უყვარხარ! ზევსი არის შენი ტრფობით
ცეცხლ-ნადები,

შენ წაულე იმას გული, გულში ალად ებადება.
ოჰ გოგონავ, მიჰყე იმას, შენ დაატკბე დაუმტკბარი,
მოდლი ლერნოსს! იქ, საღაც ჰდევს მამიშენის სათიბარი!
იქ დაგხვდება მოტრფიალე, აგრე ბედსა რომ ემდურის,
გაახარე მისი თვალი, თვალი ღვთისა უბედურის!“

ასეთი იყო სიზმარი, სტუმარი ყოველ ღამისა.
მე გადავწყვიტე გამეგო შეხედულება მამისა.
იმან კაცები აფრინა, ჰნახა დელფი და დოდონი
გამოსარკვევად იმისა, თუ რა ემართა ცოდონი,
რა მსხვერპლი უნდა გაეღო ასაცილებლად ვაების
და მოსაგებად გულისა გაჯავრებული ღვთაების.

პასუხი კი დიდხანს იყო ორჟოფა და მეტად ბნელი,
ბოლოს ერთიც მოგვივიდა, ცხადი იყო, ვით ნათელი,
ის ამბობდა: „გააგდეო სახლიდანა შენი ქალი,
დაიკარგოს, მთა და ბარად დაიწყოსო ხეტიალი,
არ დაბრუნდეს სამშობლოში, არ შემოდგას იქა ფეხი,

თორემ ვაი შენსა დღესა! მზად არისო ზევსის მეხი:
გადაბუგამს შენს ოჯახსა ციდან მედგრად განატყორცი
და სუნსაც კი ვერ აუშვებს ჩაფერფლილი შენი ხორცი!“

რომ მოგვივიდა პასუხი ეგეთი შეუწყნარები,
მამამ გამაგლო სახლიდან, გამომიკიტა კარები.
მას არ უნდოდა, არცა მე, ასეთი უბედურება,
მაგრამ რას იზამ, ევ სჯობდა, ვიდრე სულ განადგურება.
იმ წამს გონება შემერყა, გამომეცვალა სხეული,
უეცრად ბუზიც მეტაკა, ეს ბუზანკალა წყეული,
ქინძისთავივით ჩამერჭო, სულ დამიჩხვლიტა გვერდები,
გადარეული მივრბივარ, წუთსა ველარსად ვჩერდები.

არგუს, მწყემსი საზიზლარი, დამედევნა, დამტრიალებს,
ნისი თვალი უთვალავი მიყურებს და მითვალთვალებს.
ის წაიქცა ერთხელ კიდეც, მას გაუსკდა თავის ქალა,
მაგრამ მე კი არ მასვენებს ეს წყეული ბუზანკალა.
აი დღემდე ასეთია ჩემი ტანჯვა, — ეხლა თქვენა,
თუ რამ იცით მომავლისა, გთხოვთ აიდგათ ჩემთვის ენა,
ნუ გაქვთ ჩემი სიბრაალული; თუ კვლავ ტანჯვის დიდობაა,
ყველაფერზე საზიზლარი სიცრუე და ფლიდობაა.

გუნდი

კმარა! ასეთი ამბავი ჩემს ყურს ჯერ არა სმენია.
რა არ უნახავს საცოდავს, რა არა მოუთმენია?
ოჰ ბედო! ბედო! რად იყავ აგრე ლახვართა მსობელი,
რად გაუმწარე იოსა, ბედკრულს, ეს წუთი სოფელი?!

პრომეთე

მოთქმა არის ნაადრევი, ნუ აყვირდით, მოითმინეთ.
დანარჩენი მისი ბედი ეხლა ჩემგან მოისმინეთ.

გუნდი

ბრძანე, ბრძანე! კარგსა იზამ შენი ცნობაც მიაყოლო,
ტანჯვა მაშინ ნაკლებია, როცა იცი მისი ბოლო.

პრომეთე

მე ადვილად ავასრულე, რაცა მთხოვეთ ამას წინეთ,
თქვენ გინდოდათ მის მოსმენა, ეხლა ჩემი მოისმინეთ,
მოისმინეთ, რას უმზადებს ამ საწყალსა კიდევ ჰერა.
ინახეის ქალიშვილო! აი შენი ბედისწერა.

ჩაიბეჭდე კარგად გულში, რასაც გეტყვის ჩემი ენა,
შენ გაიგებ, სად და როგორ გათავდება შენი რბენა.

აქედან წახვალ, მიმართავ აღმოსავლეთის მხარესა,
გაივლი ერთსა ქვეყანას, რამ უდაბურსა არესა,
სადაც ჯერ ხარსა გუთანი არ უზიდია კისრითა.
აჰა, სკითებიც! აღჭურვილ პატარა - პატარა ისრითა,
ხან აქ ცხოვრობენ, ხან იქა, შუქი მათ არ შეჭხებია,
მათი სახლ-კარი ურემზე დაწნული ჩარდახებია.

აიცილე შენ ეს ხალხი, მოერიდე, ვით ნადირსა.
მწვიდობით რომ გაიარო, ნუ დააგდებ ზღვისა პირსა.
შემდეგ: მარცხნივ, ხალიბია, რკინეულის მქედი არე,
საშიშარი ქვეყანაა, მასაც გვერდი აუარე.
ნიაღვრები ერთ მდინარეს, გიჟურაა მის სახელი,
მართლა ჰგიეობს კლდეთა შორის და ჩამოჰრბის,
როგორც ხელი.

იქ არ შეტოპო! ინანებ, გასვლა თუ გაგიბედი.
იმისი ფონი მალლა ჰდევს, სადაც კავკაზის ქედია;
ქედი დიდია, მაღალი, ღრუბლებსა ეპოტინება,
მისი სათავე იქ არის, იქიდან მიიღინება.

იქ კი გადადი თამამად, გასვლა არ-საშიშარია
მერე დაეშვი სამხრეთით, იტყვი — სამოთხის კარია.



აქ შეხვდები ამაზონებს, ლამაზ-ლამაზ მხედარ ქალებს,
ეჯავრებათ მამა-კაცი, გაუბიან ტრფობის ალებს.
მოკლე ხანში ეს ქალები დაიპყრობენ თემისკირსა,
აილებენ იერიშით თერმოდონის განაპირსა;
და იქ, სადაც სალმიდის კლდე ზღვას ეჭრება, როგორც
კბილი,
მოგეხვევა მათი რაზმი გულ-ლია და ენა-ტკბილი.

გზას გასწავლიან ეგენი კიმერიონის კიდისა.
დაგხვდება ვიწრო კარები ზღვისა მის მეოტიდისა.
შედი თამამად, გადასჭერ შენ აქ ტალღისა დენანი.
ბოსფორსა მას უწოდებენ შემდეგში კაცთა ენანი,
რომ დავიწყებას არ მისცენ შენი მგზავრობის ხაზია.
აქ გათავდება ევროპა და დაიწყება აზია.

ეხლა თქვენა დააფასეთ ეს მტარვალე ცის კამარის.
ღმერთი! ღმერთი! გაიძახით,—ღმერთი არა, სხვა რამ არის!
ცრუ და ფლიდი! ის მზად არის ღვთის ღირსებაც არ
დაზოგოს,
ოღონდ ვარდი გაუფრქვნიელი ააგლიჯოს საწყალ გოგოს.
სწორედ იმან დაგატეხა შენ ვაება ამოდენა.
ეს ცოტაა! აქ იწყება შენი ტანჯვის დღეთა დენა.

იო

ვაი, ვაი ჩემს გაჩენას! ვაი, ვაი!..

პრომეთე

სუ! ნუ ბლავი!
დანარჩენი შენი ბედი უფრო არის შემზარავი.

გუნდი

რა იქნება უარესი მაზე, რაც რომ მოიყვანე?

პრომეთე

უფსკრულია უბედობის, მწუხარების ოკეანე.

იო

მაშ რაღად მინდა სიციცხლე მწვარი და გაუხარები?
თავსა გადვიქცევ ამ კლდიდან, ქვესკნელსა მივებარები,
მოვრჩები, დავებეთქები ერთბაშად კლდესა და ქვასა,
ერთხელ სიკვდილი სჯობიან მუდმივ წვასა და დაგვასა.

პრომეთე

რას იტყობდი ჩემს ადგილას, გექნებოდა რა იმედი?
მე სიკვდილსაც ვერა ვხედავ, მას მიკრძალავს ჩემი ბედი.
ჩემსა ტანჯვას მხოლოდ მაშინ მიეცემა დასასრული,
როცა ზევსი დაეცემა შერცხვენილი - გაბასრული.

იო

ნუთუ მართლა ეს მოჰხდება? ნუთუ ზევსი დაეცემა?
ოჰ როგორი სიხარულით გულმა უცებ მიწყობ ცემა
ნეტა ამ დღეს ბედნიერსა მოვესწო და მოვკვდე მერე!

პრომეთე

დაეცემა, დარდი ნუ გაქვს! დაეცემა, დამიჯერე

იო

მერე სკიპტრას ამ მტარვალსა ვინ გამოჰგლეჯს ხელიდანა?

პრომეთე

თვითონ უნდა გამოჩხრიკოს დასაკვლელი მისი დანა.

იო

როგორ? მითხარ, ამიხსენი, თუ არ არის ეს საშიში.

პრომეთე

შეიყვარებს ერთსა ქალსა, აერევა ანგარიში.

იო

მოკვდავსა თუ მოუკვდავსა? ეს მეუღლე ვინ იქნება?

პრომეთე

ეს რად გინდა? ამ საგანზე მხილებიან არ ჰაჭეს ნება.

იო

მითხარ: ეს ქალი იქნება? ქალი ჩაიდენს ამასა?

პრომეთე

ქალს ვაჟი დაებადება, იგი დაამხოვს მამასა.

იო

ნუთუ ზევსი ვერ აიციდენს ამ მომავალსა მწარესა?

პრომეთე

ვერა! მე მაინც ვიქნები დახსნილი უწინარესა.

იო

თუ ზევსს არა ჰსურს, ძნელია შენი დახსნისა საგანი.

პრომეთე

ამას იზამს ერთ - ერთი შენი ჩამავალთაგანი.

იო

რას ჰბრძანებ? შენი მხსნელია ჩემგანა წარმოშობილი?

პრომეთე

მეათე მოდგმის მოდგმაში... გმირი იქნება ცნობილი.

იო

მე არ მესმს ეს მხილება; რასა ჰნიშნავს? ამიხსენი.

პრომეთე

კმარა, მეტსა ნულა ჰცდილობ გაარკვიო ბედი შენი.

იო

არა, ჰბრძანე!.. დაპირება ხომ მომეცი ამისთანა?

პრომეთე

ორისაგან თანახმა ვარ ავხსნა ერთი ამოცანა.

იო

რა და რაა? ჯერ მიბრძანე, რომ ვიცოდე წინ და წინ—და!

პრომეთე

მოგახსენებ: ორი არის, მიბასუხე, შენ რა გინდა?
სცნო, თუ როგორ გათავდება ტანჯვა შენი საშინელი,
თუ გინდა, რომ ის გაიგო, ვინ იქნება ჩემი მხსნელი?

გუნდი

შესთავაზე ერთი იოს, მეორე კი მე მაჩუქე:

ჯერ იმასა მისი რბენის გზა და კვალი გაუშუქე;
შემდეგ მე ნუ დამიმალავ, ვინ იქნება შენი მხსნელი.
ამის უარს ნულა მეტყვი, ამეშალა საღერღელი.

პრომეთე

კეთილი! არ შემიძლია მეც დადუმება ენისა.
იო, შენ გეტყვი პირველად წვალებას შენი რბენისა.
გახსოვდეს ჩემი სიტყვები კარგად, არ სხვათა შორისა:
გადახვალ სრუტეს, ზღვარია იგი ხმელეთის ორისა,
და გასწევ იქით, სადაცა მზისა რომ ჰბრწყინავს კარები.
გორგონთა ველებს მოჰშორდი, ქისტეთს ნუ გაეკარები.

იქ ბებერი სამი ჰცხოვრობს, ფორკისიანთ სამი ღებრ.
სამივენი წეროს ჰგვანან, დაინახავ — გაგიჟდები.
სამთავეს აქვს ერთი კბილი, ერთი თვალი, არა მეტი,
ვარსკლავი მათ არა ჰხედავს, არ ადგებათ მზისა სვეტი.
იქვე სამი როჭაფია, გორგონები ფრთაშესხმული,
თმის მაგიერ მათი თავზე გველებია აბურძგნული.
მათი ნახვაც საშიშია, ყველა არის სულის მხდელი,
მე გაფრთხილებ, იცოდე, რომ დიდი არის განსაცდელი.

მაგრამ ეს კიდე ცოტაა! უფრო სავსეა ქირითა
გრიფონთა ხროვა, ძაღლები წაგძელებული ცხვირითა;
ყველა ზევსს ემორჩილება, მოგაყენებენ ზიანსა.
უფრთხილდი არიმასპებსაც, მხედრებს ცალ-თვალეზიანსა,
ჰადესის ღელე უჭირავთ, მდიდარი განაპირები.
უფრთხილდი იმათ! არ შეცდე, იქით ნუ წაეხირები.

შემდეგ წახვალ იმ ქვეყნისკენ, სადაც დილა ჰდგება აღრე,
შავ-კანიან ხალხსა ჰნახავ, მანდვე არის მობინადრე.
ეთიოპის მდინარეს იქ სათავე აქვს, გაჰყევ მასა,
ნაპირ-ნაპირ ივლი, ივლი, მიადგები ერთსა მთასა.

აქ ნილისა სათავეა, ბიბლოსისა ჰდევს წინ არე,
ტალღას ბლომად მოაგორებს დიდებულად მომდინარე.
ის წაგიყვანს ეგვიპტისკენ, კუნძულია სამკუთხედი,
ნოყიერი მიწა - წყალი, საამური გასახედი.
იო, შენ აქ გეყოლება მოდგმა მრავალ-რიცხოვანი.
მკითხე; გეტყვი, თუ რამ არის ჩემ სიტყვაში ბუნდოვანი.

გუნდი

თუ ამაზე დასამატი შენ არა გაქვს არაფერი,
მაშინ მეცა მომიგონე, მგონი დაჰდგა ჩემი ჯერი.

პრომეთე

იომ ეხლა კარგად იცის მისი მგზავრობის გრძელობა.
მაგრამ რომ გავაგებინო ნათქვამის უეჭველობა,
მას მოვაგონებ ამბავსაც, გამოვლილი აქვს რომელი,
მით დააფასოს, რამდენად ხედვა მაქვს შეუცდომელი.

ამბავს ბევრსა გამოვტოვებ, მოვაგონებ მხოლოდ ველებს,
სადაც ერთი სამლოცველო აუფიათ მოლოსელებს.
იქ თესპროტის სამსხვერპლო ჰდგას, შეფარვია დიდრონ
მუხებს.

მუხა—აი სასწაული! ეკითხები—გიპასუხებს.
ვახსოვს, იო? ამ ხეებმა შორიდან რომ დაგინახეს,
„ჰოი ზევსის მეუღლეო!“ თავის დრეკით მოგაძახეს,
თაყვანი გცეს, ვით ღვთაებას, არ-რა უთქვამთ ამის მეტი,
მაგრამ ამ დროს, შე საწყალო, აგივარდა თავში რეტი.
შენ მოჰკურცხლე იქიდანა შიშითა და გულის კვდომით
და ზღვის კიდეს მიახწიე სულ სირბილით, ხტომა-ხტომით.
ამ კიდესა ყველა იცნობს, „იოს გუბე“ მას უწოდეს,
რომ ამ დღისა მოგონება არ მოისპოს არასოდეს.



ეხლა ჰხედავთ, რაზომ შორსა იქვრიტება ჩემი თვალი.
 გაშლილია იმის წინა წარსული და მომავალი.

ყური დამიგდეთ! რაც დამრჩა, ეხლა ის მომისმინეთა.
 დავუბრუნდები იმ ადგილს, სადაც შევჩერდი წინეთა.
 თვით საზღვარზე ეგვიპტისა, სადაც პირსა აღებს ნილი.
 სადაც სილა იკრიბება შორიდანა მოდენილი,
 იქ ქალაქი კანოპეა, დიდიხნიდან ანაშენი,
 იქ ზევსს, შენსა მოთაყვანეს, მოუნდება ნახვა შენი.
 ხელს შეგახებს სატრფიალოდ სატრფიალო ქონებასა.
 და იმ ერთი შეხებითა დავიბრუნებს გონებასა;
 გეყოლება ერთი შვილი, ეპათოსი დაერქმევა
 ნიშნად წამის, როცა მოხდა ცის მადლისა ჩამოფრქვევა.
 მას დარჩება ის მიდამო, მიწა-წყალი იმოდენა,
 რასაც ჰრწყავს და სილით ჰზონავს ნილის დიდი გადმოდენა.

მეხუთე მოდგმა იქნება ორმოცდაათი დებისა.
 ესენი, რომ აიცილონ ალი ცოდვათა დებისა,
 თავიანთ ბიძაშვილებსა არა, არ მითხოვდებიან,
 თავს უშველიან გაქცევით, არგოსსა მიაწყდებიან.
 ხოლო ის ოჯახქორები ვერ ჩაიქრობენ ალებსა,
 ვით მტრედის გუნდსა ქორები, დაესევიან ქალებსა.
 დაიტაცებენ და ზეიმს მიეცემიან ლხენითა.
 ერთი ღვთაება ჯავრს იყრის მათზე სისხლისა დენითა.

პელაზგიელთ მიწა-წყალი მიიბარებს მათსა მძორებს.
 შეთქმულება ქალებისა მათ მიწასთან გაასწორებს:
 ერთ ღამესა თითოეულ ქმარს ჩაერქობა გულში დანა.
 ჩემს მტერს მისცეს აფროდიტემ საჩუქარი იმისთანა!
 მხოლოდ ერთი თავის ქმარსა ვერ გასწირავს აგრე, ვერა.
 ხელს შეუშლის სიყვარული, სანეტარო გულის ძგერა.
 ამჯობინებს დაუძახონ მოლაღატე ან ჯაბანი,
 ვიდრე ქმრისა სისხლის ღვარში ხელი ჰქონდეს დანაბანი.



სამეფო გვარეულობის იგი იქნება მშობელი.
 მისი ამბავი გრძელია, არ-მოკლედ მოსათხრობელი.
 ერთ გმირს, გამოსულს აქედან, მკვეთრი ექნება ისარი,
 ის მოვა ჩემად მაშველად, ჩემი დამხსნელი ის არი!
 ასეთი არის მხილება, სიტყვა თემისის დიდისა,
 დედი-ჩემისა, თავის დროს დიდებულ ტიტანიდისა.
 დროსა ვერ გეტყვი, ვერცა მას, როგორ მოჰხდება სულ ესა,
 ვერცა ვერავის ვაამებ ამის მოსიყვარულესა.

იო

ცაო! ცაო! თავბრუ მესხმის, ლამის გასკდეს თავის ქალა,
 გვერდში ისევ დამეტაკა ეს წყეული ბუზანკალა.
 თვალებს ვაქყეეტ, ვაბრიალებ ანთებულის შიგან გუგით.
 გული მიცემს, ლამის მკერდი დამიხიოს ბრაგა-ბრუგით.
 რასა ებოდავ? შავად მიდულს ფიქრი - ფიქრსა მინახალი
 და არ ვიცი, სად წამიღებს შავი ბედის ქარიშხალი.

(იო გარბის)

გუნდი

ბრძენი ყოფილა ის, დიდი ბრძენი,
 ვინც შემოიღო ადათი ჩვენი,
 გამოიჩინა გონიერება :
 უნდა ეძებო შენ შენი ტოლი,
 თუ გინდა კარგად შეირთო ცოლი
 და შეჰქნა შენი ბედნიერება.
 მდიდრისა ქალი, ფლანგვას ჩვეული,
 ანუ თავადის — ცხვირაწეული,
 ხელოსანს კი არ შეეფერება.
 ბედო! მაშორე ზევსის საწოლი,
 მაშორე მისი მოხვევა ხელის,

შენ დამიფარე — არ გავხდე ცოლი,
მეუღლე ვინმე ოლიმპიელის.
მიკვდება გული, რომ ვუმზერ იოს,
რამდენი ტანჯვა უნდა გასწიოს,
კიდევ რამდენი მწუხარებანი.
ჰდევნის იმასა უწყალო ჰერა
მხოლოდ იმიტომ, რომ აუქღერა
მან მის მეუღლეს ტკბილი ვნებანი.

თუ ქალი ვაქსა შეეფერება,
ქორწილი არის ბედნიერება,
კი არა წყარო უბედურების.
ოჰ სიყვარულო! შენ განმარიდე
სახიფათო და საშიში კიდევ
ძლიერი ღმერთის გამიჯნურების.
დიდიხანია არის ცნობილი,
იქ ხარ ყოველთვის ლახვარ-სობილი,
სადაც ცალ - კერძ ჰდევს ძალა და ღონე.
ოჰ სიყვარულო! შენ დამიცევი!
რა მეშველება, სად გავიქცევი;
ზევსა დიდებულს თუ მოვეწონე?!

პრომეთე

ამაყი ზევსიც იხილავს დღესა მის დაკნინებისა,
და ეს იქნება შედეგი განძრახულ ქორწინებისა.
ამ ქორწინებით, რომელსაც სიამით ის ეკიდება,
სწორედ დამხობილ იქნება მისი ტახტი და დიდება.
ახალი არაფერია: წყევლად მიიღო მან ესა,
როცა ტახტიდან მოხუცი კრონოს ჩამოაბრძანესა.
ვერვინ ეტყვის ჩემი გარდა, ღვთაებისა ვერც ერთ პირი,
როგორ უნდა აიცდინოს საშინელი გასაჭირი.

მაშინ კნახეთ თქვენი ზევსი! დეე მაშინ დაჰკრას ფენი,
წამოსკუპდეს ღრუბლებზედა, აგრილოს თავის მენი,
ხელში მაგრა დაიჭიროს ანთებული ისრის კონა, —
ფასი სულ ამ იარაღებს არ ექნება დრამის წონა.

მის მეტოქე საშინელი დაუბნელებს იმას თვალებს,
სულ სხვა ელვით იწყებს ქექას, სულ სხვა მეხით იგრილებს;
პოსეიდონს ჩაემსხერევა ხელში უცებ მის ფირწალი,
მიწის ძვრას და ზღვათა დელვას ველარ ასტებს ის საწყალი.
ჩაუფიქრდეს მაშინ ზევსი, მიაქციოს გულისყური:
ხელმწიფობა სხვა რამეა, სხვაა — ქვეყნის სამსახური.

გუნდი

შენი მზილება ის არის, რაცა შენ უფრო გწადია.

პრომეთე

ის არის, რაცა მე მინდა და რაც მოჰხდება, ცხადია.

გუნდი

ნუთუ ზევსსაცა მოელის ვისიმე გაბატონება?

პრომეთე

მოეგრიხება კისერი, ოხრად დარჩება ქონება

გუნდი

არ გეშინია? რას ამბობ?



პრომეთე

რა შიში, შიში რომელი?
ვინ რას დამაკლებს? რას მიზამს? ღმერთი ვარ
მოუკედლომელი.

გუნდი

მაგრამ ზევსს ხომ შეუძლიან მოგიმატოს ჭირზე ჭირი?

პრომეთე

მომიმატოს! თავს არ ვიხრი, შებრალებას არ შეეცირი.

გუნდი

არ სჯობიან, ფრთხილად ვიყოთ, არ შეველახოთ ეს უფალი?

პრომეთე

აქეთ მუდამ, ეთაყვანეთ, ჰკოცნეთ მისი ნატერფალი!
ჩემთვის ისე საზიზღარი სხვა არვინ მოიპოება.
დეე იმეფოს!.. დამაცა, გამოიცივლება დროება.

მაგრამ შიკრიკსა მე ვხედავ, აქეთკენ მოექანება.
ეჭვი არ არის, მას მოაქვს რალაც ახალი ბრძანება.

მოქმედება მესუთე

სცენა I.

პრომეთე, გუნდი, ჰერმესი.

ჰერმეს

შენ, ფეროვანო გონებავ, სავევ შხამით და შურითა,
 ღმერთთა შემცოდევ, ამაყო კაცთათვის სამსახურით:
 ქურდო ცეცხლისა ციურის, წინ რომ აღუდექ მამასა,
 მამი-ჩემისა სახელით შენგან მოვითხოვ ამასა:
 რაზე ამბობდი? ამიხსენ, რა ქორწილია, რომელი,
 ვითომდა მამი-ჩემისა ტახტისა დამამხოვბელი?
 მითხარ პირდაპირ, აჰხადე ამ ამოცანას ზეწარი,
 მე ხელმეორედ ვერ მოვალ ამისთვის შემომხვეწარი.
 ტყუილია ამ ხრიკებით ზევსს აჰყარო იარაღი!

პრომეთე

რა სიტყვაა! მონა ხარ და მონობისა გაზის დაღი!
 რა გამეფდით, რა რომ იგდეთ სამფლობელო ამოდენი,
 თქვენ გგონიათ თქვენი ტახტი ურყევი და მიუწვდენი?!
 ნე მინახავს, ორჯერ მაინც, მტარვალი და მის ამაღლა
 ამ ბრწყინვალე ტახტიდანა წამოსული ყირამალა.

მესამესაც ვნახე მალე! ეს იქნება უფრო სწრაფი,
სასირცხვილოც უფრო მეტი... უფრო მეტი თხლე და ლაფი

ნუთუ გგონია შიშითა გული დამიწყებს ძგერასა?
შორს! დამეკარგე! ჩემგანა შენ ვერ გაიგებ ვერასა.

ჰერმეს

ტანჯვას განიცდი ასეთსა, მაინც ხარ ამპარტავანი.

პრომეთე

ის მირჩევნია შენს ყმობას, ამას არ უნდა დავანი.
დიად! აქ ვიყო მიკრული, მსხვერპლად ტანჯვის და ტკენისა,
ვიდრე დავრბოდე აქა-იქ შიკრიკად მამი-შენისა.
მტერს პასუხი მტრული უნდა, რად მექნება მისი რიდი?

ჰერმეს

გამოდის, რომ ამ ტანჯვაში ნეტარება არის დიდი.

პრომეთე

ნეტარება?! ღმერთმა ჩემს მტრებს ნუ მოაკლოს იმისთანა.
შენც — პირველად!

ჰერმეს

შენი ტანჯვის მიზეზი ვარ მეცა განა?

პრომეთე

ერთსა გეტყვი: მეზიზღება ყველა ღმერთი—გესმის?—ყველა!
ვინც ეს ტანჯვა დამატება, თავი ამით ისახელა.

ჰერმეს

შენ ავად ხარ, ძლიერ ავად, შეგეშალა კიდეც ჭკუა.

პრომეთე

დიად, მტრების სიძულვილში შემლილობა რამე თუა.

ჰერმეს

შენ სიწყნარის ჩასაშლელად აბა რას არ მოიგონებ.

პრომეთე (ჰკვნესის)

ვაჟ-მე!

ჰერმეს

აი, ზევსისაგან კვნესას კი არ გაიგონებ.

პრომეთე

დრო იმასაც დაასწავლის, საჭიროა ხანის გავლა.

ჰერმეს

შენ რომ თვითონ დრო და ხანმა ვერაფერი დაგასწავლა!

პრომეთე

დამეკარგე!.. სხვა პასუხი მე არა მაქვს გასაცემი.

ჰერმეს

მაშ არ გინდა შითხრა ისა, რასაც ითხოვს მამა-ჩემი?

პრომეთე

როგორ არა, როგორ არა! აბა როგორ მოვიმდურებ!

ჰერმეს

ნუ დამცინი! ბავშვი არ ვარ, მედიდურად ნუ მიყურებ.

პრომეთე

ბავშვი ხარ, უფრო სულელიც—ნუ იწყენ ასეთ ქებასა!

თუ შენ მოელი ჩემგანა რისიმე გაშუქებასა.

ვერ მათქმევეინებს ვერაფერს ვერც ხერხი, ვერცა წამება,

მუნჯი ვარ თქმისად ამისად, ენა—იკოდე—დამება!
ზევს არ გავუმხელ, ფებ-ქვეშა მე მას არ დავეფინები,
სანამ აქ მიჯაჭული ვარ, ტანზე მაყრია რკინები.

ეგ არი! ეხლა მეუფე გამოილაშქროს მეხითა,
ახაზ - დახაზოს კამარა ცეცხლის ისრების ტეხითა,
არივ-დარიოს ქვეყანა, ცეცხლში გაჰხვიოს ბუნება,
თოვლსა და ცეცხლის ქარბუქსა ერთად დაუწყოს ბრუნება,
არ ვეტყვი, ვერც მათქმევიანებს სიტყვას მე ცათა მყრობელი,
ვერცა გაიგებს, ვინ არი ტახტისა დამამხობელი.

ჰერმეს

ამ ენისაგან, არ ვიცი, რა გამოდნება კეთილი.

პრომეთე

მე ვიცი! დიდხანია აგრე მაქვს გადაწყვეტილი.

ჰერმეს

გიჟო! გიჟო! ტანჯვისაგან შეიძინე ცოტა ჭკუა.

პრომეთე

გულს ტყუილად ნუ მიწვრილებ, ტალღასავით იგი ყრუა.
არ იფიქრო, რომ ოდესმე გავუწვდინო ზევსსა ხელი,
დავეჩოქო, ვით დიაცი მშიშარა და ჭკუა-თხელი,
შევეხვეწო, შევევედრო, რომ ამყაროს ეს ბორკილი,
არ იფიქრო, მოსისხლე მტერს დავენახო ქედმოხრილი.

ჰერმეს

ვხედავ, სიტყვა ველარა ჰჰრის, ხვეწნა არის დაკარგული,
ვერ იკარებს გაფრთხილებას მოუდრეკი შენი გული.

ვით ურა ცხენი აღვირსა ჯერ კიდევ არ - მიჩვეული
შენ ჰგლეჯ კბილებით ლაგამსა გონება გადარეული.
მაგრამ ფუჭია ბრაზობა, ფუჭია უდრეკელობა,
და თავის თავად უძლური გულ-ამაყისა ხელობა.
თუ ჩემი სიტყვა არ გჯერა, თავიცა არ გებრალება,
სცან ბარემ ისიც, რა გელის, კიდევ რა და რა წვალება:

ზეესი ამ კლდეს მტვრადა აქცევს, უნდა ჰფრიწოს
თავის მეხი!

ქვეშ მოჰყვება შენი ტანი, ზედ ქვა-ყორე დანატეხი.
შენ აღგები იქიდანა, რა გაივლის, დიდი ხანი,
მაგრამ ორბი გესტუმრება, სახით ძალღის დასამგვანი;
მოფრინდება ზევსის ნებით, ეტაკება შენსა სხეულს,
დაგანახვებს შენსა ხორცსა ნაფლეთ-ნაფლეთ ჩამოხეულს;
ჯოველი დღე შენსა ღვიძლსა, ამოგაცლის იგი რომელს,
შენ მიართმევ ამ სტუმარსა, საშინელს და გაუძლომელს,
შენსა ღვიძლსა, ჩაშავებულს, გაყდენთილსა შენი სისხლით!
ასეთია განაჩენი, აწონილი მისხალ-მისხლით.

ეხლა აბა ჩაუფიქრდი, ჩაუფიქრდი კარგად შენა.
ეს არ არის მარტო სიტყვის სამუქარო გამოფენა,
ასეთია განაჩენი! ურყვევია ზევსის პირი,
ასრულებას არასოდეს არ ჰქონია გასაჭირი.
იფიქრე და მოიაზრე! ამ საშინელ ტანჯვის შუა
ქინი არა, საჭიროა სიფრთხილე და მეტი ჰკუა.

გუნდი

ზართალსა ამბობს ჰერმესი, დაჰგმე ეს ქინიანობა,
გამოიჩინე სიფრთხილე და მეტი ჰკუიანობა.
ბრძენი ჯიუტი ბრიყვია, ვერაფრის ვერ-გამზომელი.
უნდა სცნო შენი შეცდომა, ვინ არის შეუცდომელი?

პრომეთე



ვიციოდი მეცა, რა დღე მომელის,
რა განაჩენი გაუტეხელი:
მტრის სატანჯველად მტრისა რომელის
როდის შემდგარა უწყალო ხელი?!
და ეხლა — დეე! დამეცეს მეხი,
ელვამ შანთები გადამატაროს,
ავარდეს ქარი ქარის ამტეხი
და მთა და ბარი შეაზანზაროს,
შეირყეს მიწა დასამხობელად
თვით მის ფუძესი, ძველთა სამარის,
ავარდეს ზღვაი ჩასაქრობელად
მნათობდა დიდთა ცისა კამარის,
ზევსმაც ქვესკნელში გადამიძახოს,
იხმაროს ძალა მიუწყვდომელი,
დეე!.. რამდენიც არ იტრაბახოს,
რას მიზამს?! მე ვარ მოუწყვდომელი!

შერმეს

აბა შეხედეთ ამ გადარეულს,
რას ჰბოდავს? ღმერთო, დიდება შენდა!
მას ჯაჭვი რომ არ უკრავდეს სხეულს,
რა სიგიჟესა არ ჩაიდენდა?
თქვენ—რომ გედებათ გულზე წუხილი—
გირჩევთ, მოჰშორდით ეხლავ ამ არეს!
თორემ, ისეთი ისმის ქუხილი,
თქვენვე გაითხრით თქვენსა სამარეს.

გუნდი

მოგვმართე ხოლმე ისეთი რჩევით,
ჩვენი გულიცა რომ დაჰხვდეს ღია,
ჩვენ დატანჯულსა არ გავექცევით,

ნამუსზე ხელი არ აგვიღია.
 ასეთი არის ჩვენი ბუნება,
 სხვისი ტანჯვით ვართ ლახვარ - სობილი,
 მისკენ ზურგისა შემობრუნება
 არ არის საქმე კეთილ - სობილი.

ჰერმეს

მე მოვიხადე თქვენ-წინა ვალი,
 ამიერ თქვენი იქნება ბრალი,
 თუ დაგატყდებათ უბედურება.
 არა თქვათ, რომ ზევსს, განძრახვით ბნელით,
 ერთი რამ დარტყმით მოულოდნელით,
 უნდოდა თქვენი განადგურება.
 მე გაგაფრთხილეთ!.. ინანებს მერე,
 ვინც მე ამ სიტყვით ვერ დავაჯერე,
 ვისაც ეს სიტყვა არ ეყურება.
 (ჰერმესი გადის; შეშინებული ოკეანიდებიც სხდებიან
 ეტლზე და გაჰფრინდებიან).

პრომეთე

მუჭარას არ ჰგავს!.. ირყევა მიწა,
 ჰგრგვინავს, ჰბზრიალებს კამარა მრთელი,
 ელვა ელვასა გადაეფრიწა,
 ავარდა მტვრისა კორიანტელი;
 ქარბუქი ქარბუქს ომსა უცხადებს,
 ზღვა ზღვას ასკდება ცას მინახალი...
 ოჰ, ეს ზევსია! სულ სასჯელს მადებს,
 სულ ტანჯვა მოაქვს ახალ-ახალი.
 ოჰ დედა-ჩემო! ოჰ საღმრთო დედავ!
 და შენ, ეთერო, ღვთაების ტოლო!
 აქ სამართალსა მე არა ვხედავ,
 ჩემსა ტანჯვასა არ უჩანს ბოლო.

56/20

4/2

